ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №1

3 იანვარი 2013 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ

1. მიმდინარე წლის 10 იანვარს, დღის 12 საათზე, მოწვეული იქნას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ.

მომხსენებელი: თამაზ ურიდია

1.2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 11 იანვრის №14 დადგენილებაში – „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი:თამაზ ურიდია

1.3. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 21 თებერვლის N11 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

1.4. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 11 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების თაობაზე.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

1.5. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების ბეჭდის ნიმუშისა და რწმუნებულთა მიერ მისი გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აგვისტოს N52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჯინჭარაძე

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე–ჭავჭავაძის ქ.N4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი *მიხეილ უნგიაძე*

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*